

ქალაქ ქუთაისში, 9 აპრილის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის  
N51 ბინაზე, მოქალაქე ნატო ქობულაძისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა 9 აპრილის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის N51 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ნატო ქობულაძის წარმომადგენლის ზაზა ქათამაძის განცხადებები /2013 წლის 10.07 Nქ-7240, 22.07.Nქ-7559/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, 9 აპრილის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის N51 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე ნატო ქობულაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, 9 აპრილის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის N51 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნატო ქობულაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, 9 აპრილის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის N51 ბინაზე /საერთო ფართობი 47,37 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 28,52 კვ.მ, დამხმარე ფართობი 18,85 კვ.მ./ მოქალაქე ნატო ქობულაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის  
მოვალეობის შემსრულებელი

კ.ლომიძე